

რთული სახელეზისაგან (კომპოზიტიზისაგან)
 ნაწარმოები ზმნებისა და რთული ზმნების
 მართლწერისათვის თანამედროვე
 სალიტერატურო ქართულში

ნასახელარ ზმნათა ერთი ჯგუფი ქართულში სახელის ფუძეზე -
 -**ობ** სუფიქსის დართვით იწარმოება. ასეა მიღებული **ფიქრობს**, **დარ-
 დობს**, **ავადმყოფობს**, **ხელმძღვანელობს** და ბევრი სხვა ზმნა, რომ-
 ლებშიც სახელური ფუძე (**ფიქრ-**, **დარდ-**, **ავადმყოფ-**, **ხელმძღვა-
 ნელ-**) და -**ობ** მაწარმოებელი გამოიყოფა. ე. ი. გვაქვს ასეთი ყალიბი:
სახელის ფუძე + **ობ**. მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ზმნის
 ფუძის საწარმოებლად გამოყენებული სახელი აგებულების მიხედ-
 ვით შეიძლება იყოს როგორც მარტივი, ისე რთული (კომპოზიტი).
 მარტივია **ფიქრ-ობ**, **დარდ-ობ**, რთულია **ავადმყოფ-ობ**, **ხელმძღვანელ-ობ**.
 სახელის ფუძის სიმარტივე-სირთულე ზმნურ ფორმათა წარმოები-
 სას სხვაობას არ ქმნის (ყოველ შემთხვევაში არ უნდა ქმნიდეს!). ამ
 ყალიბის ზმნები სპეციალურ ლიტერატურაში საშუალო გვარის ზმნა-
 თა სახელითაა ცნობილი და ამ ზმნებისათვის დამახასიათებელ
 უღვლილებას მისდევენ. ეს ფაქტი ცნობილია და აქ საცილობელიც
 არაფერია, მაგრამ ზოგი საკითხი, როგორც ჩანს, მაინც დაზუსტებას
 მოითხოვს. კერძოდ, დაზუსტებას მოითხოვს პირის ნიშნის ადგილის
 საკითხი ისეთ ზმნებში, რომელთა ამოსავალ ფუძედ რთული სახე-
 ლები, კომპოზიტებია გამოყენებული.

დავასახელებთ ამგვარ ზმნებს ქართული ენის განმარტებითი
 ლექსიკონის მიხედვით:

ავადმყოფობს (ქეთევანი ხშირად ავადმყოფობდა. —
 ე. ნინოშ.), **ავგულობს** (ნუ ავგულობ, ადამიანო!), **ავკაცობს**, **ბე-
 რიკაცობს** (და საბრალოა, როს ჭაბუკი ბერიკაცობდეს. —
 ნ. ბარათ.), **გველაძუობს**, **გულდიდობს** (მთაო, რად აგრე გულდი-
 დობ? — ვაჟა), **გულზვიადობს** (დამწიფებული თაველით გულ-

ზვიადობენ ველები. — შ. მღვიმ.), გულთმისნობს, გულისხმობს (გეგმისთვის ბრძოლა გულისხმობს საყოფაცხოვრებო საჭიროებისადმი დიდი ყურადღების მიქცევას. — „კომ.“), გულუხვობს, გულფიცხობს, გულჩვილობს (გულჩვილობს მარად... როცა უნდა, მაშინ იტირებს. — ი. ეკალ.), დიდგულობს (ჰეი, ბიჭო, რას დიდგულობ? — რ. ერისთ.), დიდკაცობს (შენი ნათლია დიდკაცობს, აღარ გვკადრულობს. — რ. ერისთ.), დღეგრძელობს (დღეგრძელობდეს ჩვენი დიდი სამშობლო! — „კომ.“), ენამახვილობს ([ახალგაზრდები] ენამახვილობდენ. — დ. კლდ.), ენამწეობს (ენამწეობდა პოლკოვნიკი. — ო. ჩხ.), ენამწვერობს, ენატანიაობს ([კალისტრატე] ენატანიაობდა, იუდასავით გამცემლობდა. — ს. შვალბ.), ენაცქვიტობს (შერცხვეს ქალი, ... ვინც ყურმარჯვე ენაცქვიტობს. — ა. ყაზბ.), ენაწყლიანობს („ერთი კვირა ვდიეთ [მტერს]“, — ენაწყლიანობდა ცვატა. — შ. დად.), ენაჭარტალობს, ერთგულობს ([ქალი] ერთგულობს ქმარსა. — ზღაპ.), ვაჟკაცობს (ეგ ჯაბანიც რომ ვაჟკაცობს!), ზედამხედველობს, თავგასულობს ([მონები] თავგასულობენ... მეტის მეტად. — ი. მაჩაბ. თარგმ.), თავკაცობს (მე მხოლოდ ვთავკაცობდი. — აკაკი), თავმჯდომარეობს (ლევან გოლუა სახალხო კრებას თავმჯდომარეობდა. — ლ. ქიაჩ.), თავნებობს (ერისთავებიც თავნებობენ, ქვეყანა უპატრონოდ რჩება. — ი. გოგებ.), თავპარიანობს, თანამშრომლობს ([აკაკი] სხვადასხვა დროს... პერიოდულ გამოცემებში თანამშრომლობდა. — „სახ. განათლ.“), თვალთმაქცობს (ენით თვალთმაქცობს ალბათა. — ს. შანშ.), მამაკაცობს, მამაძაღლობს, მთავარსარდლობს (სააკაძე მთავარსარდლობდა საქართველოს... ომებში. — ვ. ბარს.), მღვდელმთავრობს, მხედართმთავრობს (ვინ მხედართმთავრობს რუსთა? — მის. მრევლ.), ორპირობს (ვინაც ჩვენგანი ორპირობს, რისხავდეს ცათა ძალები. — ვაჟა), ოქროპირობს ([არსენი] ოქროპირობდა მწვერობით, ძლიერი მქადაგებელი. — აკაკი), პირმოთენობს (ბუკ-საყვირნი ომშიაც კი პირმოთენობენ. — ი. მაჩაბ. თარგმ.), პირმცინარობს (მზე პირმცინარობს. — ს. თავ.), პურაძვირობს ([პატრიციები] ამაზედაც კი პურაძვირობენ. — ი. მაჩაბ. თარგმ.), სიტყვამახვილობს (კლიმოვი... სიტყვამახვილობს. — „ლიტ. გაზ.“), სიტყვაძვირობს (ყველა მითხარ, ნუ სიტყვაძვირობ! — ი. მაჩაბ. თარგმ.), სულდგმულობს (ხუმრობა ციხელს მო-

თხოვნილებად ჰქონდა გადაქცეული, ამით ს უ ლ დ გ მ უ ლ ო ბ-
 დ ა. — ვაჟა), ფერმკრთალობს (დვას ტურფა ქალი... მასთან ფ ე რ-
 მ კ რ თ ა ლ ო ბ ს თვით გაზაფხული — კ. მაყ.), ფეხმარდობს (მეგ-
 რელი ფ ე ხ მ ა რ დ ო ბ ს. — ბ. ჩხ.), ქედმაღლობს, ქვემძრომობს,
 ქურღბაცაცობს, ყურმოჭრილობს (ზოგნი... მუხლმოდრეკილნი მორ-
 ჩილობენ, ყ უ რ მ ო ჭ რ ი ლ ო ბ ე ნ. — ი. მაჩაბ. თარგმ.), შუაჯა-
 ცობს (ოსები ვითომ შ უ ა კ ა ც ო ბ ე ნ. — ა. ყაზბ.), შუამავ-
 ლობს (იჯარადარი მხოლოდ შ უ ა მ ა ვ ლ ო ბ ს. — ილია), შუა-
 მდგომლობს (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კო-
 ლეგიის წინაშე შ უ ა მ დ გ ო მ ლ ო ბ დ ნ ე ნ სასჯელის შემსუბუ-
 ქების შესახებ. — „კომ.“), ჩხირკედელაობს (... ხალხი თედეს ეჩხუ-
 ბებოდა — ნუ ჩ ხ ი რ კ ე დ ე ლ ა ო ბ ო. — ვაჟა), ცრუპენტელაობს,
 ცუდჯაცობს (შენ რომ ც უ დ კ ა ც ო ბ დ ე, კაიკაცობაზე სხვას მაინც
 ნუ გალანძღავ. — ილია), ძალმომრეობს ([პოლიცემისტერი] ხალხს
 უდიერად ექცეოდა, თვითნებობდა და ძ ა ლ მ ო მ რ ე ო ბ დ ა. —
 „ცნ. ფურც.“), ძილფხიზლობს ([გორის ციხე] ძ ი ლ ფ ხ ი ზ ლ ო ბ ს
 და ფიქრებს იხვევს. — რ. მარგ.), წვივმაგრობს (ჯორ-აქლემი ათჯერ
 ასი, — ყველაკაი წ ვ ი ვ მ ა გ რ ო ბ დ ა. — რუსთ.), წინამძღოლობს
 ([მამასახლისი] თვითონ წ ი ნ ა მ ძ ლ ო ლ ო ბ დ ა ჯარსა. — ი. გო-
 გებ.), ჭირთამძლეობს (გული, ქმნილი მისგან ხელად, ჭ ი რ თ ა-
 მ ძ ლ ე ო ბ ს. — აკაკი), ჭირისუფლობს (მიცვალებულსაც ეგენი
 ჭ ი რ ი ს უ ფ ლ ო ბ ე ნ. — ლ. გოთ.), ხევისბრობს (ცოდვა კია, ბი-
 ძავ, შენ ახლა ჩვენს ღვთიშობელში არა ხ ე ვ ი ს ბ რ ო ბ დ ე. —
 ვაჟა), ხელმრუდობს (ბავშვები ცხოვრების კალაპოტიდან არიან ამო-
 ვარდნილნი, ხ ე ლ მ რ უ დ ო ბ ე ნ. — „თბილისი“, 11.6.74), ხელ-
 მძღვანელობს (გერა... კუნძების აფეთქებას ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე-
 ლ ო ბ დ ა. — ლ. ქიაჩ.), ხელმწიფობს (ყოვლგან ხ ე ლ მ წ ი-
 ფ ო ბ ს მკვდრული სიჩუმე. — აკაკი), ხელსაქმობს (მარინეს... ვე-
 ნახში... უდგია აკვანი და იქვე ხ ე ლ ს ა ქ მ ო ბ ს. — ს. მგალობ.),
 ხუროთმოძღვრობს (პატარები გოდოლს აგებდნენ: უფროსი რომ
 ხ უ რ ო თ მ ო ძ ღ რ ო ბ დ ა, უმცროსები უზიდავდნენ საშენ მა-
 სალას. — ვ. ბარნ.).

ზემოთ წარმოდგენილი ყველა ზმნა დოკუმენტაციითურთ ქარ-
 თული ენის განმარტებითი ლექსიკონიდანაა ამოღებული. ამ საკმაოდ
 გრძელი სიისათვის შეიძლება დაგვემატებინა კიდევ რამდენიმე
 ზმნა, სახელდობრ: გულახდილობს (... არ იყო საჭირო, თალია ასე
 რომ გ უ ლ ა ხ დ ი ლ ო ბ დ ა. — ნ. კანდ.), გულმტკივნეულობს

(ვინ უნდა გულმტკივნეულობდეს ამ დროს ახალგაზრდა პედაგოგს. — „ახ. კომ.“, 28.XI.74), **გულშემატკივრობს** (სპორტის მოყვარულნი უძლიერესი მოციგურავე ვაჟების გამოსვლებს გულშემატკივრობდნენ. — „ახ. კომ.“, 2.III.76), **გულცივობს** (თქვენ განგებ გულცივობთ... თქვენ ასეთი არა ხართ. — ნ. კანდი), **ენამწარობს** (ენამწარობდა ერთ-ერთი გატენილი საფულის პატრონი. — „ცისკარი“. 1958, № 8), **თვითნებობს** (თვითონ კი თვითნებობს, დახარჯული ელექტროენერგიის საფასურს არ იხდის. — „თბილისი“, 11.X.76), **სიტყვაძუნწობს** ([იგი] სიტყვაძუნწობს, ყველაფერს არ გვწერს. — „თბილისი“, 13.V.76), **სცენისმოყვარეობს** (დიდ სცენამდე ჯერ კიდევ სურამსა და სენაკში ვსცენისმოყვარეობდი. — „ლიტ. საქართ.“, 1.V.70), **ქორვაჭრობს** ([ისინი] ისევ ბაზარში იღვნენ და ქორვაჭრობდნენ. — „სოფლ. ცხოვრ.“, 12.XI.76), **ცნობისწადილობს** (მხოლოდ ის ჩამოსული გაგრიები ცნობისწადილობენ ნამეტანს. — „ლიტ. საქართ.“, 9.VII.76), **შავდღეობს¹** (— რაზე ვიხეთქამ გულსა და რაზე ვშავდღეობ მე ოხერი?! — რ. ინანი), **ძმაკაცობს** (იგი ძმაკაცობს და მეგობრობს თბილისელ ოთარ ჯაჯანიძესთან. — „კომ.“, 12.XI.77), **ხელგაშლილობს** (ხელგაშლილობს სხვის სუფრაზე. — „სოფლ. ცხოვრ.“, 23.XI.77), **ჯარისკაცობს** (გისმენდი და თითქოს შენთან ერთად ვჯარისკაცობდი. — „წიგნის სამყარო“, 28.IX.77).

ზმნათა ამ წყებას მიჰყვება -ებ სუფიქსიანი **წინასწარმეტყველებს** (←წინასწარმეტყველ + ებ): „თერმოგრამაზე ნათელი წერტილების სიუხვე ბადურის ანთებას წინასწარმეტყველებდა“ („თბილისი“) და **ბნელმეტყველებს** (←ბნელმეტყველ + ებ): „შენ ისევ ირიბულად ბნელმეტყველებ, ფარსმან“ (ჯ. გამს.).

მეტი წილი აქ დასახელებული ზმნებისა ისე იშვიათად იხმარება და იმდენად ხელოვნურია, რომ, თუ არ სათანადო საილუსტრაციო მასალა, ეჭვიც კი შეგვეპარებოდა მათ არსებობაში. ძირითადად მესამე პირის ფორმები იხმარება, მეორე და განსაკუთრებით კი პირველი პირის ფორმათა გამოყენების შემთხვევები იშვიათია. პირველი და მეორე პირისათვის ასეთ ზმნებთან წერითსა თუ ზეპირ მეტყ-

1 მართალია შავდღე კომპოზიტი არა გვაქვს (გვაქვს მსაზღვრელ-საზღვრული შავი დღე და მისგან ნაწარმოები შავდღიანი), მაგრამ ზმნა შავდღეობს ზემოთ განხილული ყალიბის მიხედვით არის ნაწარმოები. ამიტომ მას ამ ზმნათა რიგში განვიხილავთ.

ველებში, ჩვეულებრივ, აღწერით ფორმებს ამჯობინებენ ხოლმე. თუ ზემოთქმულს დავუმატებთ იმასაც, რომ საერთოდ საშუალი გვარის ზმნებს საკუთარი წარმოებისა მხოლოდ აწმყოსა და მისგან ნაწარმოებ დრო-კლოთა (ნამყო უსრულისა და პირველი კავშირებითის) ფორმები აქვს, ადვილი გასაგებია, თუ რამდენად შეზღუდულია ამ ზმნათა გამოყენების არე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რთული სახელებისაგან — კომპოზიტებისაგან ნაწარმოებ ზმნებში დაზუსტებას მოითხოვს პირის ნიშნის ადგილის საკითხი. მესამე სუბიექტური პირის ნიშანი ზმნას ბოლოში მოუდის, სუფიქსია. მეორე სუბიექტურ პირს თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ნიშანი არა აქვს. ასე რომ, პირის ნიშნის ადგილის საკითხი ამ ორი პირის მიმართ არ ისმის. საქმე ეხება პირველი სუბიექტური პირის ნიშანს. აქ ერთი მომენტია გასათვალისწინებელი, სახელდობრ: როცა ზმნის ფუძის საწარმოებლად აღებული სახელი ისეთი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტია, რომლის შემადგენელ ელემენტებს, დამოუკიდებლად აღებული, მნიშვნელობა არ მოეპოვება, — მნიშვნელობას ფუძე მხოლოდ გაორკეცების შემდეგ იძენს, — ასეთი რთული სახელი მორფოლოგიურად მარტივი სახელის ბადალი ხდება და პირის ნიშანიც, წესისამებრ, ზმნის თავში დაისმის. გვაქვს: **ვ-წარამარაობ** („ამის თქმით ვწარამარაობთ. — ვაჟა), **ვ-ბაქიბუქობ**, **ვ-ფართიფურთობ**, **ვ-ფაციფუცობ** და სხვ. რადგან რაიმე სახის დარღვევა პირის ნიშნის ადგილის თვალსაზრისით აქ მოსალოდნელი არ იყო, ჩვენ ასეთი ზმნები შეგნებულად არ შევიტანეთ ზემოთ წარმოდგენილ ზმნათა საერთო სიაში. საკითხი ეხება ისეთი რთული სახელებისაგან ნაწარმოებ ზმნებს, რომელთა შემადგენელი კომპონენტები დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვებია. პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ასეთ ზმნებში შეიძლება სხვადასხვა ადგილას იყოს წარმოდგენილი. კერძოდ, ზმნის თავში ან რთული სახელის შემადგენელ კომპონენტებს შორის, ე. ი. შეიძლება გვქონდეს: **ვ-ავადმყოფობ** და **ავად-ვ-მყოფობ**; **ვ-წინასწარმეტყველებ** და **წინასწარ-ვ-მეტყველებ**; **ვ-ხელმძღვანელობ** და **ხელ-ვ-მძღვანელობ**.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

ა. კითხვაზე „როგორ გრძნობთ თავს, ამხანაგო მიაკოვსკი?“ ძლივს მიუგო: „ვავადმყოფობ. გრიბი მჭირს“ („ცისკარი“, 1968, № 11).

— ვმუშაობთ, მაცვალა, ხან ვავადმყოფობთ (აღ. კალანდ.).

ჩვენ ვწინასწარმეტყველებდით, რომ ასეთი პოლიტიკა ჩაიფუშებოდა („კომ.“, 28.II.59).

როგორი საუკეთესო მოსაზრებითაც არ უნდა ვხელმძღვანელობდე თ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისას, ... ერთი რამ ცხადია — ყველაზე რეალური საშუალება იყო და რჩება დამნაშავეის მიმართ დროულად გონივრული სასჯელის გამოყენება („კომ.“, 3.IV.73).

დიდ სცენამდე ჯერ კიდევ სურამსა და სენაკში ვსცენისმოყვარეობდი („ლიტ. საქ.“, 1.V.70).

ვარ მეგობრების ტრფიალი, მათთვის ცვოცხლობ და ვსულდგმულობ („სოფლის ცხოვრება“, 8.IV.73).

— რაზე ვიხეიქამ გულსა და რაზე ვშავდღეობ მე ოხერი?! ვინ დამადგამს ოქროს მატურსა! (რ. ინან.).

... მე და შენ ტყუილად ვჩხიბრკედელაობთ (ა. ხახუტ.).

ვისმენდი და თითქოს შენთან ერთად ვჯარისკაცობდი („წიგნის სამყარო“, 28.IX.77).

მსგავსად ნაწარმოები ფორმები იქნება: **ვ-თანამშრომლობ, ვ-ზე-დამხედველობ, ვ-თვალთმაქცობ, ვ-შუაკაცობ, ვ-შუამდგომლობ, ვ-შუამაველობ** და სხვ.

ბ. გულახდილად გეტყვიოთ და, როცა ავადვმყოფობ, მარჩვენია შინ ვიავადმყოფო („თბილისი“, 10.XI.70).

ჰოდა, ახლა სახლში ავადვმყოფობ ხოლმე (იქვე).

თუ ასეა, რატომ მუდამ არ ავადვმყოფობთ? („სოფლის ცხოვრება“, 13.IX.72).

ყველანი ავადვმყოფობთ, ყველანი ვიტანჯებით (გ. კარბ. თარგმ.).

მე ცოტათი მოვიანებით გავჩნდი. სულ ავადვმყოფობდი და დღეს შეეშინდა — ამასაც რაიმე არ მოუვიდესო (გ. ხანაღ.).

მეორე ჰიქას უფრო ვუტკებებით და ენავწყლიანობთ (რ. ინან.).

უფრო ახლოს დავთვალე ერთ ციხესიმაგრე, კიდევ დიდხანს ვტკებოდიოთ სანახაობით და წინასწარ ვმეტყველებდით, რომ დროთა განმავლობაში შატილის ციხესთან მოვა მთელი საქართველო („კომ.“, 21.IX.70).

... სინდისიერსა და დინჯ მოკამათეს არ შეუძლო ეთქვა, თითქო მე, ქართული ენის სხვადასხვა ფორმის არჩევის დროს, მხოლოდ პირადი გემოვნებით ხელვმძღვანელობდე (ხილ. ხუნდ.).

მსგავსად ნაწარმოები ფორმები იქნება: **თანა-ვ-მშრომლობ, ზედა-ვ-მხედველობ, თვალთ-ვ-მაქცობ, შუა-ვ-მდგომლობ, სულ-ვ-დგმულობ, ჩხიბ-ვ-კედელაობ** და სხვ.

წარმოდგენილი ნიმუშებიდან ჩანს, რომ რთული სახელებისაგან ნაწარმოებ ზმნებს პირველი სუბიექტური პირის ნიშანი შეიძლება ჰქონდეს ზმნის თავშიც (ვ-ავადმყოფობ) და რთული სახელის შემადგენელ წევრებს შორისაც (ავად-ვ-მყოფობ). თუ სად უნდა დაიწეროს პირის ნიშანი, სადავო არაა. იგი უნდა დაიწეროს ზმნის თავში (ვ-ავადმყოფობ), რადგან რთული სახელი (კომპოზიტი), „მიუხედავად მისი ფუძის შედგენილობისა, ერთ სიტყვას წარმოადგენს;

ერთი მჭადის ნატეხით, ერთი ძველი ქალამნით... (გ. ლეონ).
ნეტავ თქვენისთანა პატივცემული კაცი ჩემს ნახელავს ინებებდეს და მჭადი რას მიქვია, ხაჭაპური იყოსო (ო. იოს.).
მომენატრა... სამხრად... მზეზე გახუხული ყვითელი ქადპური (გ. შატბ.).
[ნინიკამ] ჩააბუებუჟა ლობიოში მჭადპურა (ვაჟა).
გადებულ ჭოკებზე ჩამოეწყოთ ქადის-ჭადის კონები (ნ. ლორთქ.).
სამზარეულოში... ღვეზელებს აცხობდნენ ან დიდ ქადის-ჭადს (დ. კლდ.).

ქავლი || მქავლი

მთის მკერდზე კი საიხვე ტბა ალივლივდა გზისფერ ქავლით (გ. ლეონ).
მინდვრის პირი ტბის ქავლივით ცახცახებდა (გ. შატბ.).
ვეფხვს ნავარდი მოუნდა და წყალს გახლტა, მქავლს კული დაჰკრა, ვირს წუნწკალი შეასხა (საბა).

ქვალი || მქვალი

ვაი, ვაი, ჭვლები, ჭვლები აღარ მაძლევენ მოსვენებას (გ. წერეთ.).
რას იტყიებს... მქვალი ხომ არ აღვია? (ს. მაგლობლ.).
ქვარტლი || მქვარტლი (ქვარტლიანი || მქვარტლიანი)
თრიალეთიდან ვნახეთ ღამის მსუბუქი ჭვარტლი... (გ. ტაბ.).
მე დავრჩები მხოლოდ ჭვარტლი (გ. ლეონ).
თუ ხალიჩას ჭვარტლი მოხვდა, ლაქას მარილის ფხენილი მოაყარეთ („სოფლ. ცხ.“).

თაროზე მქვარტლისაგან გაშავებული ქოთანი იდგა (ა. ბელ.).
საბარგო ავტომობილზე იჯდა ვიღაც პარიკიანი მაჯლაჯუნა კაცი, რომელსაც სიმინდის ხაშარისაგან შეხანხლული გრძელი თმა-წვერი მოსავდა, მქვარტლით შემურულს (კ. გამსახ.).

მოვებნე ჩემი ჭვარტლიანი ფანდური (ვაჟა).
ქუჩაში თქორი თუ ქალაქის საკვამურებიდან ამოსული ბოლი დაიზღაზნებოდა და ჭვარტლიანი ნათურების შუქს ძალას უკარგავდა (რ. ჯაფ.).
ჩემ მქვარტლიან სახლში ვიყავი (ვაჟა).

კვირცხლი || მკვირცხლი

[ნისლს] წინ უხვდება კვირცხლი ნიავე (ა. ყაზბ.).
ნ. ნიკოლაძე... ძალიან ახალგაზრდა იყო, მკვირცხლი, მოუსვენარი, ნიჭიერი (აკაკი).

მეომარი ხარ მკვირცხლი და მალი (რ. ერისთ.).
ქარის... გრილმა მკვირცხლი მტრედები შამი-შუმში მოიყვანა (ს. მაგლ.).

რგვალი || მრგვალი (ჩარგვალეზული)

[ლოკოინას] რქების წვერებზე რგვალი შავი წერტილებით ჰქონდა რაღაცა, ეს მისი თვალები იყო (თ. რაზიკ.).

ერთ კუთხეში დიდი რგვალი მაგიდა იდგა (გ. წერეთ.).
მათ შორის მხოლოდ რგვალი მინდორია დატოვებული (ნ. ლორთქ.).
ხელთ რგვალი ფარი ეჭირა, ღამის ძარღვებით გაწნული (გ. ლეონ).
პატარა ხელის ლამფით გამოვიდა კარში სხვილი, ჩარგვალეზული დედაკაცი (ვაჟა).

ხებ ფორმებში ბუნებრივად ზმნის თავში — ქცევის ნიშნის წინ და-
ისმის.

უნდა აღინიშნოს, რომ ფორმათა შევსებას სესხების გზით ჩვენ-
თვის საინტერესო ზმნათაგან მხოლოდ რამდენიმე ახერხებს. ზმნათა
უმეტესი ნაწილი კი დრო-კილოთა მხოლოდ აწმყოს წყებაში და მხო-
ლოდ მესამე პირის ფორმით იხმარება. (თავისი ხელოვნურობის
მიუხედავად პირველი პირის ფორმებს მაინც თუ ვაწარმოებთ, პი-
რის ნიშანი ზმნას უსათუოდ თავში უნდა დავუტოთ).

ე. ი. რთული სახელებისაგან (კომპოზიტები-
საგან) ნაწარმოებ ზმნებში პირველი სუბიექტ-
ტური პირის ნიშანი ზმნის თავში დაისმის (**ვ-
ავადმყოფობ**). **ავად-ვ-მყოფობ** და სხვა მსგავსი, პირის ნიშნით გათი-
შული ფორმები, როგორც ჩანს, რთულ ზმნათა ანალოგიითაა გაჩე-
ნილი. სწორედ რთული ზმნებისათვის არის დამახასიათებელი ფორ-
მათა ასეთი წარმოება⁷.

როგორც ცნობილია, რთული ზმნა⁸ სახელისა (ან ზმნასთან სინ-
ტაქსურად დაკავშირებული მეტყველების სხვა ნაწილის) და ზმნის
შეერთების შედეგად მიღებული ერთი მნიშვნელობის შემცველი
ლექსიკური ერთეულია. სახელი, როგორც წესი, წინ უსწრებს ზმნას.
გვაქვს ასეთი ყალიბი: **სახელი + ზმნა**. სახელური ნაწილი რთული
ზმნისა იმის მიხედვით, თუ წინადადების რომელი წევრის ფუნქციას
ასრულებს, შეიძლება წარმოდგენილი იყოს წმინდა ფუძის სახით,
მიცემითი, ვითარებითი ან მოქმედებითი ბრუნვების ფორმით.

რთული ზმნები ახალ ქართულში იშვიათად იხმარება. მათი გა-
მოყენების არე გაცილებით უფრო ფართო იყო ძველ ქართულში.

7 გამოთქმა „პირის ნიშნით გათიშული ფორმები“ რთული ზმნების მიმართ
ზუსტი არაა და მას მხოლოდ **ავად-ვ-მყოფობ** და მსგავს ფორმებთან რთული
ზმნის გარეგნული მსგავსების აღსანიშნავად გამოვიყენებთ. სინამდვილეში რთულ
ზმნაში პირის ნიშანი კი არ თიშავს ზმნის სახელურ და ზმნურ ნაწილს, არამედ
მათ შორის ექცევა იმის გამო, რომ ფორმაცვალებას მოლიანად ლექსიკური ერ-
თეული კი არ განიცდის, არამედ მხოლოდ მისი ზმნური ნაწილი.

8 რთულ ზმნათა შესახებ იხ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლე-
ბი, I, თბილისი, 1953, გვ. 512-513; ჯ. თევზაძე, რთული ზმნები ძველ ქარ-
თულში, ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტი-
ტუტის შრომები, 13, თბილისი, 1959, გვ. 397-408; მისივე, რთული ზმნის მი-
მართება შედგენილ შემასმენელთან, იგივე კრებული, 14, თბილისი, 1959, გვ. 185-
191; მისივე, რთული ზმნები ძველ ქართულში წარმოქმნის კატეგორიების მი-
ხედვით, იგივე კრებული, 15, თბილისი, 1960, გვ. 190-199; ე. ოსიძე, „ლაღად-
ყო“ ტიპის ზმნები ძველ ქართულში, იყ., XII, თბილისი, 1960, გვ. 267-272.

ძველი ქართულის ბევრი რთული ზმნა ახალ ქართულში ორგანულ-მა წარმოებამ შეცვალა, ბევრი კი შემადგენელ ელემენტებად დაიშალა და ჩვეულებრივი სინტაქსური წყვილი მოგვცა. უკანასკნელი შემთხვევა უპირატესად ისეთ რთულ ზმნებს ეხება, რომელთა სახელური ნაწილი ბრუნვის ნიშნით იყო გაფორმებული. ასეთი რთული ზმნები ახალ ქართულში აღარა გვაქვს. ახალი ქართულის ყველა რთული ზმნის სახელური ნაწილი ფუძის სახითაა წარმოდგენილი.

ძველ ქართულში გავრცელებული რთული ზმნებია: კელ-ეწიფების, ძალ-უძს, აღთქმა-ყო, ბრძოლა-ყო, დევნა-ყო, ზრახვა-ყო, ლოცვა-ყო, სრულ-ყო, უვარ-ყო, ღალად-ყო, ცხად-ყო, შეურაცხ-ყო, წრფელ-ყო, წყალობა-ყო, კელ-ყო, კმა-ყო, ამბორს-უყო, მზა-უყო, წამ-უყვნა, პატივ-სცა||პატივ-უყო, ნათელ-სცა, გზა-სცა, თავყანის-სცა, ნუგეშინი-სცა, ნათელ-იღო, ყურად-იღო, მუცლად-იღო, თავს-იღვა, ჯუარს-აცუა, ინაკით-ჯდა, თანა-წარჯდა, თანა-წარვიდა, თანა-ედვა, წინა-დაცუთა და სხვ.

ახალ ქართულში გავრცელებულ რთულ ზმნათაგან შეიძლება და დავგესახელებინა: შეურაცხყოფს, ცხადყოფს, სრულყოფს, ნათელყოფს, ხელყოფს, უარყოფს, უგულვებელყოფს, უზრუნველყოფს, უვნებელყოფს, უჩინარყოფს, იავარყოფს, იძულებელყოფს, ღირსყოფს, ღალადყოფს (რომელიც გარკვეული სტილებრივი ვითარების შესაქმნელად იხმარება), თანაუგრძნობს, უკუაგდება და სხვ.

ამ ზმნათა მეტი წილი ძველი ქართულიდანაა შემორჩენილი, ნაწილი კი მოგვიანებით მათი ანალოგიითაა ნაწარმოები.

რთულ ზმნებში ფორმაცვალებას ზმნური ნაწილი განიცდის, სახელური ნაწილი კი ფორმაუცვალებელია. რთული სახელებისაგან (კომპოზიტებისაგან) ნაწარმოები ზმნებისაგან განსხვავებით რთულ ზმნებს დრო-კილოთა სამივე ჯგუფის ფორმები აქვს. ოღონდ, რაკი ეს ზმნები ძველი ქართულიდანაა შემორჩენილი, დრო-კილოთა პირველ ჯგუფში მხოლოდ აწმყოს წრის ფორმები ეწარმოებათ, მყოფადის წრის ფორმები მათ არ განუვითარებიან⁹. მყოფადი აწმყოს წრის ფორმებს გამოიყენებს, ოღონდ აწმყოს უსრული ასპექტის საპირისპიროდ მათ სრული ასპექტის გაგებას ანიჭებს.

რთული ზმნის უღვლილება დრო-კილოთა მიხედვით ასეთ სურათს გვაძლევს:

⁹ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 513.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი წ ყ ო ბ ა

დ რ ო - კ ი ლ ო თ ა I ჯ გ უ ფ ი

აწმყო	ნამყო უსრული	კავშირებითი I
შეურაცხ-ვ-ყოფ	შეურაცხ-ვ-ყოფდი	შეურაცხ-ვ-ყოფდე
შეურაცხ-ყოფ	შეურაცხ-ყოფდი	შეურაცხ-ყოფდე
შეურაცხ-ყოფ-ს	შეურაცხ-ყოფდ-ა	შეურაცხ-ყოფდეს

დ რ ო - კ ი ლ ო თ ა II ჯ გ უ ფ ი

ნამყო ძირითადი	კავშირებითი II
შეურაცხ-გ-ყავი	შეურაცხ-გ-ყო
შეურაცხ-ყავი	შეურაცხ-ყო
შეურაცხ-ყო	შეურაცხ-ყო-ს

დ რ ო - კ ი ლ ო თ ა III ჯ გ უ ფ ი

თურმეობითი I	თურმეობითი II	კავშირებითი III
შეურაცხ-მ-იყვი-ა	შეურაცხ-მ-იყ-ო	შეურაცხ-მ-იყო-ს
შეურაცხ-გ-იყვი-ა	შეურაცხ-გ-იყ-ო	შეურაცხ-გ-იყო-ს
შეურაცხ-უყვი-ა	შეურაცხ-უყ-ო	შეურაცხ-უყო-ს ¹⁰

ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი წ ყ ო ბ ა

დ რ ო - კ ი ლ ო თ ა I ჯ გ უ ფ ი

აწმყო	ნამყო უსრული	კავშირებითი I
შეურაცხ-მ-ყოფ-ს	შეურაცხ-მ-ყოფდ-ა	შეურაცხ-მ-ყოფდეს
შეურაცხ-გ-ყოფს	შეურაცხ-გ-ყოფდ-ა	შეურაცხ-გ-ყოფდეს
შეურაცხ-ყოფ-ს	შეურაცხ-ყოფდ-ა	შეურაცხ-ყოფდეს

დ რ ო - კ ი ლ ო თ ა II ჯ გ უ ფ ი

ნამყო ძირითადი	კავშირებითი II
შეურაცხ-მ-ყო	შეურაცხ-მ-ყო-ს
შეურაცხ-გ-ყო	შეურაცხ-გ-ყო-ს
შეურაცხ-ყო	შეურაცხ-ყო-ს

¹⁰ როგორც ცნობილია, ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში II სუბიექტურ პირს ზმნაში ნიშანი არა აქვს, ძველი ქართული ორთოგრაფიის მიხედვით კი **ბ** (შეურაცხ-ბ-ყოფ) და **ჰ** (შეურაცხ-ჰ-ყოფ) უნდა გვქონოდა.

დრო-კილოთა III ჯგუფი

თურმეობითი I	თურმეობითი II	კავშირებითი III
შეურაცხ-ვ-უყვივარ	შეურაცხ-ვ-ყავი	შეურაცხ-ვ-ყყო
შეურაცხ-უყვიხარ	შეურაცხ-ყავი	შეურაცხ-ყყო
შეურაცხ-უყვი-ა	შეურაცხ-ყ-ო	შეურაცხ-ყყო-ს

როგორც ვხედავთ, პირველი სუბიექტური და პირველი და მეორე ობიექტური პირის ნიშნები სახელსა და ზმნას შორის დაისმის. სწორედ ამ პირთა ფორმები იძლევა იმის გარჩევის შესაძლებლობას, თუ რა განიცდის ფორმაცვალებას — ლექსიკური ერთეული მთლიანად, თუ მხოლოდ მისი ზმნური ნაწილი. მეორე სუბიექტური (ახალ ქართულში) და მესამე სუბიექტური და ობიექტური პირების ფორმათა ჩვენება ამ თვალსაზრისით ახალს არაფერს გვაძლევს.

ფორმათა ასეთი წარმოება გაბატონებულია როგორც ძველს, ისე ახალ ქართულში. გვაქვს: **შეურაცხ-ვ-ყოფ, ცხად-ვ-ყოფ, სრულ-ვ-ყოფ, უგულბებელ-ვ-ყოფ, უზრუნველ-ვ-ყოფ, უარ-ვ-ყოფ, ხელ-ვ-ყოფ, ღირს-ვ-ყოფ, იავარ-ვ-ყოფ, იძულებულ-ვ-ყოფ, უჩინარ-ვ-ყოფ, უვნებელ-ვ-ყოფ, ნათელ-ვ-ყოფ, დაღად-ვ-ყოფ, თანა-ვ-უგრძნობ, უკუ-ვ-აგდებ.**

მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

საქირთა... ს რ უ ლ ვ ყ თ თ სოციალისტური კულტურა („კომ.“).

ჩვენ არ უგულბებელყოფთ ამ სპეციალობის კეთილშობილურ მისიას („კომ.“).

უზრუნველყოფთ მეცხოველეობა საკუთარი წარმოების საკვებით („კომ.“).

ნათელყოფთ რა პირობებში განსაზღვრეს მწერლის შემოქმედებითი ხასიათი („სახ. გან.“).

ჩვენ თანავე უგრძნობთ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ კორეელ ხალხს („კომ.“).

და... აღარ ძალმიძს, უკუვავდო ცდუნება-ესე (ა. კალ.).

მსგავს სურათს გვაძლევს ობიექტური წყობის ფორმებიც. ობიექტური წყობის ფორმები მყარია. ობიექტური პირის ნიშნებს, წესისამებრ, ყოველთვის თავისი კუთვნილი ადგილი უჭირავს. წესისაგან გადახრა და გამოწკარისებები აქ ნაკლებ მოსალოდნელია. და მაინც „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში მართებული ძალგვიძს ფორმის ნაცვლად გვძალუძს ფორმა შეგვხვდა. მაგ.: „— რაზე გწყდებათ გული? — რომ ჯერჯერობით ვერ ვაკეთებთ

იმას, რისი გაკეთებაც გვძალუძს, რომ დაგეგმარების ნაკლოვანებების, გულგრილობისა და სხვა მიზეზების გამო ჩვენი მშენებლობა არქიტექტურულად ვერ აღწევს სასურველ წარმატებას“ („ახ. კომ.“, 15.XI.75). შდრ. „განა ჩვენ ძალგვიძს უიმათოდ გაძლება ქვეყნად“ (ვ. კოტეტ. თარგმ.).

პირის ნიშნის წინ გადმოწევის შემთხვევები პირველი სუბიექტური პირის ფორმებთან და უპირატესად ზეპირ მეტყველებაში შეინიშნება. ვ-სრულყოფ, ვ-ხელყოფ, ვ-ნათელყოფ, ვ-უკუაგდება, ვ-უთანაგრძნობ ფორმათა გვერდით ისეთი შემთხვევებიც გვხვდება, როცა პირის ნიშანი რთული ზმნის სახელური ნაწილის წინაც დაისმის და ამავ დროს იგი თავის კუთვნილ ადგილას — სახელურ და ზმნურ ნაწილებს შორისაც არის შენარჩუნებული, ე. ი. ფაქტობრივად ერთი პირის გამოსახატავად ორი პირის ნიშანი გვაქვს. მაგალითად, ასე: ვ-უზრუნველ-ვ-ყოფ, შე-ვ-ურაცხ-ვ-ყოფ¹¹.

მოვიყვანთ მაგალითებს:

ის ცოცხალი აღარ არის და არ მინდა კომიკური სიტუაციის გახსენებით შე-ვ-ურაცხ-ვ-ყოფ¹² (ს. კლდ.).

... ბავშვი სამეცადინოდ ნუ დაგყავთ იმ მეცნიერ მუშაკთან. მე კი არ შევ-ურაცხ-ვ-ყოფ, მაგრამ, უტყობა, ის სულ სხვა მეთოდით ამეცადინებს („კომ.“, 16.II.73).

ნუ ავჩქარდებით ბავშვის, ახალგაზრდის გაკიცხვაში, დატუქსვაში, ნუ შე-ვ-ურაცხ-ვ-ყოფთ მის მგრძნობიარე არსებას, თავმოყვარეობას („სოფლის-ცხოვრება“, 8.I. 72).

საჭიროა სიფრთხილე, საჭიროა კარგად ვიცოდეთ, რით ცხოვრობენ შეილები, რათა ჩავერიოთ, მაგრამ ისე, რომ ამ ჩარევით ახალგაზრდა არ შევ-ურაცხ-ვ-ყოფთ („ახ. კომ.“, 24.VIII.74).

რას უცადოს ახალგაზრდა სპეციალისტმა ფშავ-ხევსურეთში, როცა მას, ცხოვრების პირობებს რომ თავი დაეანებოთ, სამსახურით ვერ ვუზრუნველ-ვ-ყოფთ („ლიტ. საქ.“, 24.X.75).

¹¹ ლაღაღყოფს ზმნასთან პირის ნიშნის წინ გადმოწევის შემთხვევები ძველ-ქართულშივე შეინიშნება. მართებული ლაღაღ-ვ-ყოფ ფორმის გვერდით ვ-ლაღაღ-ვ-ყოფ და ვ-ლაღაღყოფ ფორმებიც გვხვდება. მაგ.: „მე შენდამი, უფალო, დაღაღ-ვ-ყოფ“ (სინ. მრ. 158,29), „ქმასა მას ანგელოზისასა ჩუენცა შეუღღგინოთ და ვ-ლაღაღ-ვ-ყოფთ: გიხაროდენ, მომადლებულო! უფალი შენ თანა!“ (სინ. მრ. 20,25), „ჭირსა ჩემსა ვხადე უფალსა და ღმრთისა ჩემისა მიმართ ვ-ლაღაღ-ვ-ყოფ“ (ფს. ბ., 17,7).

¹² შეურაცხი ზმნის ფუძისაგან ნაწარმოები სახელია, იგი ძველ ქართულში „უპატიოს“, არად ჩასაგდება, მღაბიოს ნიშნავდა (ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973). მოვიყვანთ ერთ ადგილს „მუშანიკის წამებ-ბიდან“: „მოპყვანდა წმიდაა მუშანიკ... ვითარცა ერთი ვინმე შეურაცხთ-განი“ (IX,7).

... ყველაგან უნდა ვუზრუნველყოთ თიბვის ორჯერ ჩატარება („ახალი ცხოვრება“, 30.VI.73).

... ვუზრუნველყოთ მარცვლის, სასილოსე მასისა და ძირხვევების უხვი მოსავლის მიღება („ახალი ცხოვრება“, 30.VI.73).

მაგრამ რა? ვერ ვუკუაგდე ფიქრი წამითაც („ახ. კომ.“, 25.II.75).

ფაქტების ნაწილი გავაუვანებელყვეთ, მაგრამ ასეთი საშუალების გამოყენებას კვლავ აქვს ადგილი („ახალი ცხოვრება“, 21.VI.73).

(გავაუვანებელყვეთ [უნდა იყოს უვნებელყავით] რთული ზმნის-თვის სრულიად უცხო და გაუმართლებელი ფორმაწარმოებაა, მაგრამ მას მხოლოდ წინ გადმოწეული პირის ნიშნის გამო გამოვიყენებთ).

შე-ვ-ურაცხ-ვ-ყოფ, ვ-უზრუნველ-ვ-ყოფ, ვ-უკუაგდე არამართებული ფორმების გამოყენების ცალკეული შემთხვევა, ცხადია, მეტოქეობას ვერ გაუწევს სალიტერატურო ენაში დამკვიდრებულ მართებულ **შეურაცხ-ვ-ყოფ, უზრუნველ-ვ-ყოფ, უკუ-ვ-აგდე, უვნებელ-ვ-ყოფ** ფორმებს. გაცილებით უფრო რთულია **თანაუგრძნობს** ზმნის საკითხი, რადგან ეს ზმნა ყველაზე უფრო მეტად ამჟღავნებს ორგანული წარმოების ზმნებთან გათანაბრების ტენდენციას. სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნებმა ქვევის ნიშნებთან ერთად წინ გადმოიწია და **ვ-უთანაგრძნობ, მ-ითანაგრძნობს, გ-ითანაგრძნობს, გვ-ითანაგრძნობს** ფორმები მოგვცა. ეს ფორმები ფართოდ იკიდებს ფეხს ზეპირსა და წერით მეტყველებაში და თანდათან ავიწროებს მართებულ **თანა-ვ-უგრძნობ, თანა-მ-იგრძნობს, თანა-გ-იგრძნობს, თანა-გვ-იგრძნობს** ფორმებს.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

...რისი იმედი უნდა ჰქონოდა ამ კაცს, — რომ მე ვუთანაგრძნობ

(**ო. იოს.**).

ამოიხორა, ერთხანს ელოდა, გასტონი მითანაგრძნობსო, მაგრამ ამოოდ (**5. ქად. თარგმ.**).

თუ ვერ გითანაგრძნე ჭირში, თვალის გასწორება მიჭირს (**მ. კახ.**).

არა, მაგ ისეთი კაცია, მარტო სუფრაზე გითანაგრძნობს (**მ. კაკ.**).

ასევე არაა გამართლებული **უთანაგრძნობს** ფორმის გამოყენება მესამე პირისათვის („ვინც მის ჯალათ ძმას არ შეუშინდება, უთანაგრძნობს“. — **ო. იოს.**) ნაცვლად მართებული **თანაუგრძნობს** ფორმისა.

ხშირად რთული სახელისაგან ნაწარმოები ზმნები და რთული ზმნები ერთმანეთში ირევა, რასაც შედეგად ორთოგრაფიული შეცდომები მოსდევს.

სილ. ხუნდაძე, მაგალითად, როტულ ზმნებსა და როტული სახელე-
ბისაგან (კომპოზიტებისაგან) ნაწარმოებ ზმნებს აიგივებდა და ყვე-
ლა შემთხვევაში პირის ნიშნის „შუაში ჩართვას“ მოითხოვდა: „იმის-
თანა როტულ სახელზმნებს, როგორც არიან, მაგალითად, ავათმყო-
ფობა (ავათ + მყოფობა), ნათელყოფა (ნათელი + ყოფ-ნ-ა), ცხად-
ყოფა (ცხადი + ყოფ-ნ-ა)... და სხვა, — პირველი პირის პრეფიქსი ვ
შუაში ჩაერთვის და არა თავში“, — ვკითხულობთ მის „ქართული
მართლწერისა და სწორენის ძირითად საფუძვლებში“¹³.

ავადმყოფობს არ არის როტული ზმნა, იგი როტული სახელისაგან
ნაწარმოები ნასახელარი ზმნაა და პირის ნიშანი თავში მოუდის.
ნათელყოფს და ცხადყოფს ზმნებს კი. როგორც როტულ ზმნებს, პი-
რის ნიშანი შუაში ჩაერთვის.

პროფ. ი. აბულაძე „მამათა სწავლანის“ წინასიტყვაობაში შენი-
შნავს: „პირის ნიშანი „თავკედობა“ ზმნას, რომელიც სახელისა და
ზმნისაგან არის შედგენილი, თავში მოუდის: ვ-თავკედობ“¹⁴. ავტო-
რის აზრით, ეს ფორმა ძველი ქართული ენის ნორმათა თვალსაზრი-
სით გადახრას წარმოადგენს. შესაბამისი ადგილი ტექსტში ასე
იკითხება: „ოდეს-იგი ვიყავ მე სოფელსა შინა, [შორის] სოფლიოთა
ვზუაობდი, და რაჟამს ვიქმენ მე მონაზონ, შორის მამათა ვთავ-
კედობ“¹⁵. ჩვენი აზრით, აქ არ არის გადახრა. ვ-თავკედობ როტული
სახელისაგან ნაწარმოები ზმნაა (თავკედ¹⁶ +ობ) და პირის ნიშანიც
თავის ადგილას, სიტყვის თავში უზის.

ჭ. თევზაძე წინასწარმეტყველებს ზმნას როტულ ზმნებთან ერ-
თად განიხილავს¹⁷, რაც არ არის მართებული. ამ ზმნის ფუძე ასე
იწლება: წინასწარმეტყველ + ებ, ე. ი. იგი არის ნასახელარი ზმნა,
რომლის ფუძედ როტული სახელი, კომპოზიტია გამოყენებული.
მსგავსად ნაწარმოები ფორმებია წინამძღოლობს (წინამძღოლ +ობ),
წინამძღვრობს (წინამძღვარ +ობ) და სხვ. წინასწარმეტყველებს

¹³ სილ. ხუნდაძე, დასახ. ნაშრ., ქუთაისი, 1927, გვ. 98.

¹⁴ მამათა სწავლანი, X და XI ს-თა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილია
აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1955, გვ. X.

¹⁵ მამათა სწავლანი, გვ. 261,25.

¹⁶ თავკედი ძვ. ქართულით თავგახული, კადნიერი; თავკედობა — თავგახუ-
ლობა, კადნიერება (იხ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი,
1973).

¹⁷ ჭ. თევზაძე, როტული ზმნები ძველ ქართულში, ა. ს. პუშკინის სახელო-
ბის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 13, თბილისი,
1959, გვ. 405.

ძველ ქართულში ფართოდ გავრცელებულა ზმნაა (ძველი ქართულის ფორმით წინაწარმეტყუელებს, წინააწარმეტყუელებს) და მას, როგორც სხვა ნასახელარ ზმნებს, სუბიექტური პირის ნიშანი სიტყვის თავში მოუდის. მოვიყვანთ ერთ ადგილს ოთხთავიდან: „სახელითა შენითა ვწინაწარმეტყუელებდი“ (მ. 7,22).

როგორც ჩანს, ზმნის ფუძის სირთულე როგორც ერთს, ისე მეორე შემთხვევაში არის მიზეზი იმისა, რომ ეს ორი, არსებითად განსხვავებული ყალიბის ფორმები — რთული სახელებისაგან ნაწარმოები ზმნები და რთული ზმნები ერთმანეთში ირევა. მათი გამიჯვნა აუცილებელია.

რთული სახელებისაგან (კომპოზიტებისაგან) ნაწარმოები ზმნები ჩვეულებრივი ნასახელარი ზმნებია, რომლებშიც სახელის ფუძე (ოლონდეს ფუძე არის რთული) და ზმნის ფუძის ნაწარმოებელი სუფიქსი გამოიყოფა. ე. ი. გვაქვს ასეთი ყალიბი:

რთული სახელის ფუძე + ობ(ებ) ზმნური სუფიქსი.

რთულ ზმნებში გამოიყოფა სახელი (ახალ ქართულში სახელის ფუძე) და მისგან დამოუკიდებლად გაფორმებული ზმნა. ე. ი. გვაქვს ასეთი ყალიბი:

სახელის ფუძე + ზმნა

(სახელის ფუძე ამ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, მარტივია; ზმნურ ნაწილად კი ახალ ქართულში უპირატესად ყოფს ზმნაა გამოყენებული).

რთული სახელებისაგან (კომპოზიტებისაგან) ნაწარმოებ ზმნებს პირველი სუბიექტური პირის ნიშანი მოუდის სიტყვის თავში. გვაქვს: ვ-ავადმყოფობ, ვ-წინაწარმეტყუელებ, ვ-ხელმძღვანელობ, ვ-თანამშრომლობ, ვ-შუამდგომლობ, ვ-ხულდგამულობ და სხვ.

რთულ ზმნებს პირველი სუბიექტური პირის ნიშანი მოუდის სახელურ ნაწილსა და ზმნას შორის, შუაში ჩაერთვის. გვაქვს: ხრულ-ვ-ყოფ, ცხად-ვ-ყოფ, ნათელ-ვ-ყოფ, შეურაცხ-ვ-ყოფ, უზრუნველ-ვ-ყოფ, უვნებელ-ვ-ყოფ, თანა-ვ-უგრძნობ, უკუ-ვ-აგდებ და სხვ.